

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №128
2021 წლის 1 ივნისი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართ №2-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

ა) ბიუჯეტის განმკარგველის – 0981– სსიპ „ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველი:

”

70	0982	სსიპ „კასპის კოლეჯი“
----	------	----------------------

“;

ბ) ბიუჯეტის განმკარგველის – 5140 – ა(ა)იპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველი:

”

1501	5141	ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ცხოველთა მონიტორინგის ცენტრი“
------	------	--

“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

